პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მაისი, შაბათი, 1986 წ.
№ 99 (9190) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისის VIII საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში

მასპინძლებმა პროგნოზები გააბათილეს

იუგოსლავიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრაში გამარჯვებას ყველა — გულშემატკივრებიც და სპეციალისტებიც, — სტუმრებს უწინასწარმეტყველებდა. ასეთი პროგნოზი საფუძვლიანი იყო, რადგან იუგოსლაველი წყალბურთელები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან, მათგან შვიდი ოლიმპიური ჩემპიონია. მასპინძლები კი, რომელთა გუნდიც თბილისის დინამოელებით იყო დაკომპლექტებული, თავისი „რეიტინგით" აშკარად ჩამორჩებოდნენ იუგოსლაველებს. ჩვენდა სასიხარულოდ, მასპინძლებმა პროგნოზები თავდაყირა დააყენეს. მათ დიდი ალმავლობით ითამაშეს და მხოლოდ მესამე პერიოდი წააგეს, ისიც მინიმალური ანგარიშით (0:1).

ვინ იცის, როგორ გადაწყდებოდა მატჩის ბედი, მეორე პერიოდში ჩვენი გუნდის ერთ-ერთ უძლიერეს წყალბურთელს კოლუაშვილს მესამე პერსონალური გაფრთხილების გამო რომ არ დაეტოვებინა სარბიელი (თამაშის ბოლომდე, შეცვლის უფლებით). მართალია, ასეთი დანაკლისი იუგოსლაველებმაც განიცადეს — პოპოვიჩსაც შეცვლის უფლებით დაატოვებინეს სარბიელი, მაგრამ ეს მეოთხე პერიოდში მოხდა.

სხვათა შორის, ჩვენი გუნდი მესამე პერიოდის დაწყებამდე მატჩს იგებდა. თამაშის მიწურულს სტუმრები ერთი ბურთით დაწინაურდნენ. მასპინძლები დამარცხებას კანდელაკის გოლმა გადაარჩინა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 6:6 (3:2, 2:2, 0:1, 1:1).

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ (3), კანდელაკმა (2) და კოლუაშვილმა. იუგოსლაველთაგან ბებიჩმა, ანდრიჩმა (2-2). ვინევიჩმა და ბეკიჩმა (1-1), მათ გარდა სტუმართა ნაკრების სახელს იცავდნენ კრივოკაპიჩი, პეტროვიჩი, აფრიჩი, ლეშიჩი, ვასოვიჩი, როსი და ვეზიაკი. მასპინძელთა გუნდში იყვნენ: გიორგაძე, გიორგაძე, ზუმბულიძე, რურუა, რამიშვილი, ნიკოლაიშვილი, ბითაძე, გვახარია და ბაღათურია.

ასპარეზობის პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და ჩვენი ქვეყნის მეორე (20 წლამდე ასაკის) გუნდებიც. საბჭოთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტოლი არაფერში დაუდო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს. მთელმა მატჩმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და ფრედ დამთავრდა—10:10 (1:1, 3:2, 2:3, 4:4).

ტურნირის მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის I და II გუნდები. ახალგაზრდებმა ამჯერად ვერაფერი გააწყვეს თავიანთ უფროს კოლეგებთან და პირწმინდად დამარცხდნენ—5:13 (1:4, 2:2, 2:4, 0:3).

უნგრეთისა და იუგოსლავიის წყალბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 10:7 (4:2, 1:2, 3:1, 2:2). როგორც ჩანს, იუგოსლაველებს ამ დამარცხების შემდეგ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზის მოპოვების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ.

გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: იუგოსლავია — სსრკ (II) — 10:9, საქართველო — სსრკ (I) — 6:11.

ავთანდილ გურასაშვილი.

ავტორის ფოტო.

ოსტატობის სკოლა

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში ორი ტური გათამაშდა. ასპარეზობის პირველ დღეს მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მასპინძელთა გუნდების — თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრამ. გულშემატკივრებს ახლა დინამოელთა შედეგებზე ნაკლებად როდი აინტერესებთ ჩვენი ჭაბუკთა გუნდის გამოსვლა — მას ხომ სულ მალე საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე მოუწევს საქართველოს ღირსების დაცვა. გარდა ამისა, ნაკრებში სწორედ ის კალათბურთელები არიან, რომლებიც ხვალ-ზეგ „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მიმდინარე ტურნირში დინამოელთა რიგებშიც თამაშობენ 16-17 წლის პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებისთვისაც ეს შეჯიბრება შესანიშნავი სკოლა და ოსტატობის ამაღლების კარგი საშუალებაა.

ჭაბუკებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, ცალკეულ ეპიზოდებში ისინი ტოლს არ უდებდნენ „დინამოს" გამოცდილ მოთამაშეებს და პირველი ტაიმი მხოლოდ 5 ქულის სხვაობით დათმეს — 39:44. შესვენების შემდეგ დინამოელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 93:79. ახალგაზრდულ ნაკრებში შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინეს გოგელიამ (24 ქულა) და ტალაბაძემ (16). დინამოელთაგან ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს დერიუგინმა (21), ტაუბინმა (18) და ბოროდაჩოვმა (16). აღსანიშნავია, რომ გოგელიამ 24-დან ნახევარი — 12 ქულა სამქულიანი ტყორცნებით მოაგროვა.

იმავე დღეს გამართული დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ვისლა" (კრაკოვი, პოლონეთი) — „დინამო" (ფრუნზე) 86:85 (44:35), „დინამო" (მოსკოვი) — „რუდა ჰვეზდა" (პარდუბიცე, ჩეხოსლოვაკია) 98:87 (38:39).

II ტურში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოსკოვის „დინამოს" ხვდებოდა. მასპინძლებმა მხოლოდ მატჩის დებიუტში შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ მეტოქისთვის და საბოლოოდ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 67:117 (35:62). დანარჩენი ორი შეხვედრა უფრო დაძაბული გამოდგა: ფრუნზეს „დინამომ" აჯობა „რუდა ჰვეზდას" — 85:82 (57:41), ხოლო თბილისის „დინამომ" — „ვისლას" — 99:88 (51:48).



თბილისის „დინამოსა" და პოლონეთის „ვისლას" შეხვედრის ერთი ეპიზოდი.

ა. ვაჩიანის ფოტო.

გუშინ გაიმართა მორიგი, III ტურის მატჩები: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — „რუდა ჰვეზდა" 67:47 (46:23), „დინამო" (მოსკოვი) — „ვისლა" 96:70. (47:36), „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ფრუნზე) — 108:91 (53:46).

საბჭოთა ფეხბურთელები მექსიკაში ჩავიდნენ

მეხიკო, 21 მაისი. მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მექსიკაში ჩავიდა საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები. ბენიტო ხუარესის სახელობის მეხიკოს აეროპორტში საბჭოთა ფეხბურთელებს დახვდნენ ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები. გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ნაკრების ხელმძღვანელებმა პასუხი გასცეს მრავალრიცხოვან შეკითხვებზე, თუ როგორ ემზადებოდა გუნდი მომავალი შეჯიბრებისთვის, როგორია მოთამაშეთა განწყობილება. მექსიკის ტელევიზიის მიერ მოწყობილ ინტერვიუში მომავალ თამაშებზე თავიანთი აზრი გამოთქვეს ვ. ლობანოვსკიმ, რ. დასაევმა და ო. ბლოხინმა.

საბჭოთა გუნდი მეხიკოდან ქალაქ ირაპუატოს გაემგზავრა, სადაც გაივლის აკლიმატიზაციას და განაგრძობს მზადებას. 2 ივნისს საბჭოთა გუნდი თავის ჯგუფში პირველ მატჩს ჩაატარებს უნგრეთის ნაკრებთან, მანამდე კი ჩვენი ფეხბურთელები 28 მაისს ქალაქ მორელიაში საწვრთნელ მატჩს გამართავს ადგილობრივ კლუბთან.

• • •

მექსიკაში ზენიტს აღწევს ის აჟიოტაჟი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხოლმე ეგზომ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებს. საგანგებო მზადებაა მეხიკოში, ქალაქის ოთხ ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ რაიონში დადგმულია ვეება ტაბლო-ეკრანები, სადაც მსურველებს შეუძლიათ ნახონ მატჩების სატელევიზიო გადაცემები, მთელს ქალაქში დადგეს საგზაო ნიშნები, რომლებიც გზას უჩვენებენ სტადიონისკენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იწმუნებიან, რომ ჩემპიონატზე ჩამოსული უცხოელი ტურისტებისთვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საგანგებო ზომებს მიმართავენ.

ადგილობრივი პრესა, რადიო და და ტელევიზია ადგილს არ იშურებს პროგნოზებისთვის, ჩემპიონატის ფავორიტებად ასახელებენ ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის გუნდებს.

ფინალის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ამჟამად მექსიკაში იმყოფება. ქალაქ ლეონში ვარჯიშობენ უნგრელი ფეხბურთელები, რომლებსაც ოფიციალურ შეხვედრათა დაწყებამდე განზრახული აქვს ხუთი ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ჩაატარონ ადგილობრივ კლუბებთან.

სტარტი ენგურის ჭალაში

ზუგდიდის რაიონის ახალ იპოდრომზე, რომელიც ოფიციალურად ჯერ არც გახსნილა, სტარტი აიღო საქართველოს IX საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა ასპარეზობამ საცხენოსნო სპორტში. 25 მაისამდე თბილისის, აფხაზეთის ნაკრები გუნდები (დებულებით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით), აგრეთვე პირად ჩათვლაში მონაწილე ქალაქებისა და რაიონების — სოხუმის, ზუგდიდის, ფოთის, წალენჯიხისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის სპორტსმენები კლასიკურ სახეობებში იასპარეზებენ, ხოლო შემდეგ (28 მაისიდან) ხალხურეროვნული სახეობების (ისინდი,

ს უ რ ა თ ზ ე: დოლში გამარჯვებული რუხის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ციური თოდუა.

მალხაზ ფიფიას ფოტო.

იხ. მე-4 გვ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ელგუჯა ბერიშვილი ტელეფონით გვატყობინებს:

ლიდერი მაგალითს იძლევა

ორჯონიკიძე. აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 220-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობს. ოქროს მედლებისთვის ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოჭიდავეებთან ერთად იბრძვიან შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონები: ს. ბელოგლაზოვი, ა. ფაძაევი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი, 1986 წლის ევროპის ჩემპიონები ა. დორჟუ, ა. მაჰომედოვი, ჰ. ისაევი, ა. ვარაევი, ს. ოგანესიანი. ერთი სიტყვით, ორჯონიკიძეში თავი მოიყარა ჩვენი ქვეყნის მთელმა საჭიდაო ელიტამ.

ეს ითქმის არა მარტო ჩემპიონატის მონაწილეებზე, არამედ მწვრთნელებზეც, სპეციალისტებზეც, სპორტის ვეტერანებზეც და, ასე გასინჯეთ, მაყურებლებზეც. დიახ, ორჯონიკიძეში დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ გულშემატკივრებსაც ნახავთ.

ყველაზე მრავალრიცხოვანი „რაზმი" ჩემპიონატში საასპარეზოდ რუსეთის ფედერაციამ წარმოადგინა. ტურნირის გახსნის ცერემონიალზე მაყურებლები ტაშით შეხვდნენ უკრაინელ მოჭიდავეთა გამოჩენას...

შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით პირველი დღის მთელი შემოსავალი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიით დაზარალებულთა დახმარების ფონდს გადაეცემა. უკრაინელ მეგობართა დახმარების ფონდი შეჯიბრების მონაწილეებმაც შექმნეს.

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX სპარტაკიადა

დიდები... პატარების წინააღმდეგ

ქუთაისში დამთავრდა მოფარიკავეთა შეჯიბრება საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით. ოთხი სახეობიდან სამში იმ სპორტსმენებმა გაიმარჯვეს, რომელთა ასაკს სპორტში და კერძოდ ფარიკაობაში ახალგაზრდულს ვუწოდებთ. ასეთი გამოჯვნა 18-19-ისა და 23 წლის მოფარიკავეებს შორის (შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ 1963 წელს ან უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები) ზოგს შეიძლება მეტისმეტი მოეჩვენოს, მაგრამ, ვინც ამ რთულ ტექნიკურ და მეტად შრომატევად სახეობას იცნობს, მას ეს არ გაუკვირდება.

ისე, კაცმა შეიძლება იკითხოს, ახალგაზრდებმა რომ გაიმარჯვეს, კარგია, მაგრამ გამოცდილი სპორტსმენები რაღას აკეთებდნენო? საქმე ისაა, რომ ადრე დაშვებული შეცდომების გამო (ამის შესახებ წინა წერილში გვქონდა საუბარი), სასპარტაკიადო ასაკის, ე. ი. 22-23 წლის მოფარიკავეები ახლა ძალიან ცოტა შემოგვრჩა. ქუთაისშიც არავინ გამოჩენილა ისეთი „უცხო", ვინც შეძლებდა კონკურენცია გაეწია რესპუბლიკის ნაკრების წევრებისათვის. რამდენიმე პერსპექტიული მოფარიკავე, რომლებიც მწვრთნელებმა ასე თუ ისე გამოარჩიეს (მაგალითად, წყალტუბოს გუნდის წევრი ზაზა მარდალეიშვილი), რესპუბლიკის ნაკრებს სამომავლოდ თუ გამოადგება.

ისე, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მოფარიკავეთა რესპუბლიკურ ტურნირზე არც შეიძლება რაიმე მოულოდნელობა მოხდეს: რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე მოზრდილი სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდი მხოლოდ თბილისს გამოჰყავს. სხვა რაიონები და ქალაქები მხოლოდ მოსწავლეების იმედად არიან და ისინი, ცხადია, დედაქალაქის სპორტსმენებს ღირსეულ მეტოქეობას ვერ გაუწევენ. თბილისელი მუშკეტერები კი მუდამ თვალწინ ჰყავთ ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებს და შეჯიბრების გარეშეც კარგად იციან მათი ავ-კარგი.

მარტო თბილისელი სპორტსმენებით რომ ხერხდებოდეს ერთი, ძლიერი ნაკრების დაკომპლექტება, - მაშინ იქნებ გამართლებულიც ყოფილიყო რაიონებისთვის მხოლოდ რეზერვის მომზადების დაკისრება, მაგრამ რადგან საქმე ასე არაა, ამიტომ ჩვენში მოფარიკავეთა მომზადების სტრუქტურა ნაწილობრივ მაინც უნდა გადაისინჯოს და გარდაიქმნას. საქმისათვის ალბათ სასარგებლო იქნება, თუ რომელიმე სხვა ქალაქში, ყველაზე მეტად კი ქუთაისში, გავხსნით სპორტულ ჯგუფს, რომელშიც მოზრდილი სპორტსმენები აიმაღლებენ ოსტატობას. ყოველ შემთხვევაში, ეს ღონისძიებები საქართველოს პირველობებს მაინც გამოაცოცხლებდა, ერთფეროვნებას შეცვლიდა.

მართალია, ქუთაისს თავისი საფარიკაო დარბაზი არ გააჩნია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ იქაური სპეციალისტები და ფარიკაობის საქალაქო ფედერაცია, რომელსაც გზათა მშენებლობის ტრესტის მმართველი ანზორ ბურაევი ხელმძღვანელობს, ამ საქმეს თავს მოაბამენ.

ბოლოს კი ასპარეზობის შესახებ. მართალია, ფარიკაობაში „მინაურ" შეჯიბრებათა მიხედვით ყოველთვის ძნელია სპორტსმენთა მომზადების შეფასება, მაგრამ სპეციალისტებს მაინც შეუძლიათ სათანადო დასკვნების გამოტანა. ჩვენი მწვრთნელები ყველაზე დიდ იმედს, როგორც ცნობილია, ხმლით მოფარიკავეებზე ამყარებენ. ეს რწმენა მათ ქუთაისში ჩატარებულმა შეჯიბრებამაც განუმტკიცა — ამ სახეობაში საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გაიმართა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა გამარჯვებული — დავით თურქია. საგანგებოდ აღსანიშნავია ქუთაისელი მალხაზ ძნელაძის წარმატებაც, მას ბადალი არ ჰყავდა დაშნით მოფარიკავეთა შორის. ჩვენს ნაკრებში ყველაზე სუსტი რგოლი რაპირისტთა გუნდებია, მაგრამ არ შეიძლება ორი სიტყვა არ ითქვას ვაჟებში გამარჯვებულ ოლეგ ჩერნიშოვზე (მწვრთნელი ლუდვიგ ლალანიძე). თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, რომელიც ჯერ 17 წელი არ შესრულებია და ყველაზე უმცროსი გახლდათ საქართველოს სპარტაკიადის პრიზიორთა შორის, უკვე ბევრჯერ ისახელა თავი თანატოლებში. შარშან მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატში 16 წლის ჭაბუკმა საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იასპარეზა და ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა. ქუთაისში მან ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა თანაგუნდელი სერგო დემეტრაშვილი და საქართველოს IX სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

დავით თურქია

ოლეგ ჩერნიშოვი

ქეთევან გაჩეჩილაძე

მალხაზ ძნელაძე

შედეგები

ხმალი. 1. დ. თურქია, 2. მ. ბაზაძე, 3. ა. მახარაძე (ყველა—თბილისი). **გუნდური** (თურქია, ბაზაძე, ა. მახარაძე, ზ. მჭედლიძე).

რაპირა. ვაჟები. 1. ო. ჩერნიშოვი, 2. ს. დემეტრაშვილი (ორივე — თბილისი), 3. გ. ზვიადაძე (ქუთაისი); **გუნდური.** თბილისი (ჩერნიშოვი, დემეტრაშვილი, დ. შატინოვი, დ. სახვაძე).

ქალები. 1. ქ. გაჩეჩილაძე (თბილისი); 2. ლ. ლექავა (ქუთაისი); 3. ვ. მამუკაშვილი (თბილისი). **გუნდური.** თბილისი (გაჩეჩილაძე, მამუკაშვილი, ხ. მამუკაშვილი, მ. დარასელია).

დაშნა. 1. მ. ძნელაძე (ქუთაისი); 2. გ. ზურაბიშვილი; 3. ს. დიშჩუკი (ორივე — თბილისი). **გუნდური.** თბილისი (ჯ. განიაშვილი, ჯ. ბალანდინი, გ. სავიცკი, ა. ქოქოევი).

საერთო გუნდური. I. თბილისი — 639 ქულა; II. ქუთაისი—465; III. აჭარა — 258; IV. წყალტუბო — 215; V. აფხაზეთი — 188,5; VI. ზესტაფონი — 165; VII. ტყიბული — 98; VIII. რუსთავი — 98; IX. ჭიათურა — 32; X. მაიაკოვსკი—32.

ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი გამოვლინდა

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ საქართველოს მე-9 საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ბადმინტონისტთა ფინალურ ტურნირს უმასპინძლა. სპორტის ეს სახეობა, რომელიც დღემდე სპარტაკიადის პროგრამაშიც კი არ ყოფილა, 1992 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ის დიდი ინტერესი, რაც ბათუმელმა სპორტის მოყვარულებმა რესპუბლიკის უძლიერეს ბადმინტონისტთა ტურნირისადმი გამოიჩინეს.

უძლიერესის სახელისთვის ძირითადად თბილისისა და აჭარის ნაკრები გუნდები იბრძოდნენ. გუნდურ პირველობაში აჭარის კოლექტივი დაწინაურდა, მაგრამ საერთო გუნდურ მაჩვენებელს პირადი პირველობის შედეგებიც განსაზღვრავდა, აქ კი სტარტზევე საგრძნობი უპირატესობა თბილისელებმა მოიპოვეს. ვაჟთა ერთეულებში დ. კავილაძე სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა გ. ენუქიძემ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მესამე ადგილი წილად ხვდა ქუთაისელ კ. ზვიადაძეს. ქალთა ერთეულების ასპარეზობაში შესაბამისად პირველ-მეორე ადგილებზე ბათუმელები ა. ბერიძე და მ. დარჩია გავიდნენ, მესამე პრიზიორი თბილისელი ა. არშუკოვა გახდა. ვაჟთა წყვილების პაექრობაში თავი გამოიჩინეს ქუთაისელებმა გ. ჯანელიძემ და კ. ზვიადაძემ. სპარტაკიადის ჩემპიონებიც ისინი გახდნენ. მეორე ადგილზე გავიდა აჭარელთა წყვილი გ. მჟავია — დ. სურმანიძე, მესამეზე — თბილისელები დ. კავილაძე და ა. ბრეგვაძე. ქალთა წყვილებში ტოლი არ ჰყავდათ ბათუმელებს ი. ბერიძეს და ე. სტიგალოვას. მეორე ადგილი დაიკავეს თბილისელებმა კ. არუშკოვამ და ა. სვირიდენკომ, მესამე — ი. ჩხეტიამ და ი. ბუხაიძემ (ქუთაისი), შერეულ წყვილებშიც აჭარის გუნდის წევრებმა გ. მჟავიამ და ი. ბერიძემ იმარჯვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ დ. კავილაძე —ლ. შაროევა (თბილისი), მესამეზე — კ. ზვიადაძე და ი. ბუხაიძე (ქუთაისი). სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი ი. ბერიძე.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა:

1. თბილისი — 353 ქულა (მწვრთნელი ი. ბარხუდაროვი);

2. აჭარა — 349 ქულა (მწვრთნელი ვ. მალიუტინი);

3. ქუთაისი — 316 ქულა (მწვრთნელი ო. აბზიანიძე).

—ბადმინტონისტთა სასპარტაკიადო ტურნირმა, — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მთავარმა მსაჯმა ლ. ქურსაშვილმა, — ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა და დაგვარწმუნა იმაში, რომ სპორტის ეს სახეობა რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში პოპულარული გახდა. ვფიქრობ, საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ბადმინტონისტები მოკრძალებულ ადგილს არ დასჯერდებიან.

მინდა მადლობა გადავუხადო ასპარეზობის მასპინძლებს, აჭარის სპორტკომიტეტის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ხელმძღვანელობას იმ გულითადი დახმარებისათვის, რამაც საშუალება მოგვცა ტურნირი მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაგვეტარებინა.

„ლელოს" კორ.

მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და საცხოვრებელ ადგილებში მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობის ერთთვიური, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით ტარდება.

ერთთვიურის დღიური

ბათუმი

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ბევრი რამ გააკეთა ბათუმში სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოსაწყობად. სამაგალითოდ გამოიყურება ინასარიძის ქუჩაზე მე-7 კოოპერატივის მარტივი სპორტული მოედ-



ასე გამოიყურება პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული დარბაზის იატაკი.

ანი. ასევე კარგადაა მოვლილი ჯაფარიძისა და აბაშიძის ქუჩების, გორკის ქუჩის № 46 და № 50 საცხოვრებელ კორპუსებთან, ლერმონტოვის ქუჩის № 2 ეზოში მდებარე სპორტული მოედნები. სპორტულ ბაზებს სანიმუშოდ უვლის № 1 საბინაო-საექსპლუატაციო უბანი. სახლმმართველმა ო. ხორავამ და ფიზკულტურის მეთოდისტმა ვ. კოლიკმა ორჯონიკიძის ქუჩაზე მაგიდის ჩოგბურთის დარბაზის გახსნა მოიწადინეს და მიზანსაც მიაღწიეს. ახლა იქვე საშხაპის მოწყობა დგას დღის წესრიგში. სამწუხაროდ, ჩვენმა სარეიდო ჯგუფმა ბათუმში გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის რამდენიმე ფაქტიც გამოავლინა.

ბრალდება პირველი

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული დარბაზი სამი წელია მწყობრში ჩადგა, მაგრამ მისი იატაკი უკვე იმდენად დალპა, რომ ფაქტიურად დარბაზი გამოუყენებელია. მშენებლებმა პასუხი უნდა აგონ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობაზე. დარბაზში პარკეტი ბეტონის იატაკზე უნდა დაეგოთ, მე-5 სამშენებლო ტრესტის მშენებლებს კი სავენტილაციო ხვრელების გარეში, ფიცარზე დაუგიათ. აქვე დავძენთ, რომ დარბაზი ზამთარში ცუდად თბება და თუ ზრუნვაა, ახლა უნდა ზრუნავდნენ ამ დეფექტის გამოსწორებისთვის, მაგრამ ჯერჯერობით ეს არავის გახსენებია.

ბრალდება მეორე

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე კეთილმოუწყობელია მძლეოსნური ბილიკები. წვიმის შემდეგ (ბათუმში კი ხშირად წვიმს) ბილიკებზე წყალი გუბდება, რაც ხელს უშლის როგორც სპორტსმენებს, ისე გამაჯანსაღებელი რბენის მიმდევრებს.

ბრალდება მესამე

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ტერიტორიულად მწვანე კონცხზე

ეს ტექნიკუმის პერჩამოქცეული სპორტული დარბაზია.

ტექნიკუმის ძველი შენობა 19[illegible] წელს ახალმა შეცვალა, სპორტ[illegible] დარბაზიც შესანიშნავი [illegible] 1983 წლის ზამთარში დარბა[illegible] სახურავი მთლიანად ჩამო[illegible] (№ 5 სამშენებლო ტრესტის მშე[illegible]ბელთა ნახელავმა იმ ზამთარს [illegible] გაუძლო). მას შემდეგ სამი წე[illegible] გავიდა. დარბაზისკენ კი გახედ[illegible] არავის უნდა. როდემდე? განა [illegible]დინისთვის სამი წელი არ კმარა?



№ 76 პროფტექნიკური სასწავლებლის მოედანზე მაზუთი ილვრება.

ბრალდება მეოთხე

ბათუმის № 76 პროფტექნი[illegible] სასწავლებელში კარგად არის [illegible] განიზებული ფიზკულტურულ-ს[illegible]რტული მუშაობა, მაგრამ მარ[illegible] ტიპის მოედანზე მაზუთს ღვ[illegible] იქვე მდებარე საქვაბედან. № 3 [illegible] ბინაო-საექსპლუატაციო უბნის [illegible]ლმძღვანელობა, ვისაც ეს საქ[illegible] ეკუთვნის, არავითარ ზომებს [illegible] იღებს.

წარმოგიდგენთ ფინალისტებს

მეხიკო-86

ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 7 დღე

ბულგარეთი — თავდასხმა—უმთავრესი საზრუნავი

მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები 1934 წლიდან მონაწილეობს, მაგრამ ფინალური ასპარეზობის საგზური პირველად მხოლოდ 1962 წელს მოიპოვა. მას შემდეგ ბულგარელებმა კიდევ სამჯერ (1966, 1970 და 1974 წლებში) ითამაშეს ფინალურ ტურნირებში, თუმცა დიდი წარმატებები არ მოუპოვებიათ. მათ ვერც ერთხელ ვერ დაძლიეს წინასწარი ზღუდე: ჩილის, ინგლისის, მექსიკისა და დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე ბულგარეთის ეროვნულმა გუნდმა ერთი მატჩის მოგებაც ვერ შეძლო. ნაკრების ამჟამინდელი უფროსი მწვრთნელი, 1966 წლის მსოფლიო პირველობის მონაწილე ივან ვუცოვი იმედოვნებს, რომ ნავსი ამჯერად მაინც გატყდება.

31 მაისს, მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე, სწორედ ბულგარელებს მოუწევთ XIII მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩში მონაწილეობა — ადგილობრივი დროით 12 საათზე დაიწყება მათი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან, იტალიის ნაკრებთან. ამ ორი გუნდის გარდა „ა" ჯგუფში იასპარეზებენ არგენტინისა და სამხრეთ კორეის ფეხბურთელები. ცხადია, მერვედფინალში გასასვლელად ბულგარელებს, პირველ ყოვლისა, იტალიელებთან და არგენტინელებთან მოუწევთ ბრძოლა, თუმცა არც სამხრეთ კორეის ნაკრებია ხელწამოსაკრავი მეტოქე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ვუცოვის გუნდს არც შესარჩევ შეჯიბრებაში ჰყოლია იოლი მეტოქეები: ლუქსემბურგის ნაკრები, ფაქტიურად, ერთადერთი აუტსაიდერი იყო. დანარჩენი ოთხი გუნდის (საფრანგეთი, გდრ, იუგოსლავია და ბულგარეთი) პრეტენზიები მექსიკის ორ საგზურზე სავსებით რეალური ჩანდა.

თვით ვუცოვი მაინცდამაინც დიდ გმირობად არ თვლის შესარჩევ ტურნირში წარმატებით გამოსვლას: „მართალია, საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიხდა ჯიდილი, მაგრამ თუ გვინდა მსოფლიოს უძლიერესი გუნდების რიცხვში ჩვენც დავგვასახელონ, ფინალურ ტურნირშიც შესამჩნევი კვალი უნდა დავტოვოთ".

ჩემპიონატისათვის უშუალო სამზადისი ბულგარელებმა ჯერ კიდევ იანვარში დაიწყეს. მწვრთნელმა 23 ფეხბურთელი შეარჩია და კანარის კუნძულებზე გაემგზავრა, სადაც ძირითადი ყურადღება მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას დაეთმო. მზადების მეორე ეტაპი ჩატარდა ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში, მექსიკაში. იქ ბულგარეთის ნაკრებმა დაჰყო 24 იანვრიდან 10 თებერვლამდე და ინტენსიურ საწვრთნელ მეცადინეობებთან ერთად საკონტროლო მატჩებსაც მართავდა. ამ შეხვედრათა შედეგები ვერ იყო მაინცდამაინც შთამბეჭდავი — ერთი მოგება, ერთი ფრე და ერთი წაგება ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან და მარცხი (1:2) გდრ-ის ნაკრებთან. მიუხედავად ამისა, ვუცოვი კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდის თამაშით და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მექსიკის კლიმატური პირობების გაცნობა ფეხბურთელებისათვის მეტად სასარგებლო იყო.

ბულგარეთის ფეხბურთის საბჭომ მსოფლიო პირველობისათვის ნაკრების მზადება თავის მთავარ ამოცანად გამოაცხადა და ყველაფერი ამ მიზანს დაუქვემდებარა. უჩვეულოდ შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი, რამაც საშუალება მისცა ნაკრების წევრებს მთელი გულისყური ამ კოლექტივისკენ მიემართათ. ქვეყნის ფეხბურთის მესვეურთა აზრით, ამან შედეგი გამოიღო: სოფიაში, ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე ბულგარელებმა დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს დანიის ეროვნული ნაკრები, რომლის ძალა საყოველთაოდ ცნობილია. მართალია, ზოგიერთმა სპეციალისტმა ცოტა არ იყოს სკეპტიკურად შეხედა ამ გამარჯვებას: აქაოდა, დანიელებმა ითამაშეს უაღრესად სუსტადო. მაგრამ სპეციალისტთა მეორე ნაწილის აზრით, სტუმრები სწორედ ბულგარელებმა აიძულეს მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ეფიქრათ. დანიელებთან მოგებას მოჰყვა მარცხი (0:2) ფინალური ტურნირის კიდევ ერთ მონაწილესთან — ბელგიის ეროვნულ გუნდთან, რამაც პესიმისტები კიდევ უფრო ჩააფიქრა.

ივან ვუცოვს არ აშინებს ეს შედეგი. მისი თქმით, ნაკრების უძლიერესი ნახევარმცველები ანდრეი ჟელიაზკოვი და პლამენ მარკოვი საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ შეეგუენ პარტნიორებს (ეს ფეხბურთელები საფრანგეთის კლუბებში თამაშობენ: ჟელიაზკოვი—სტრასბურგის „რესინგში", მარკოვი კი — „მეცში"). მათ საშუალება არ ჰქონდათ თანაგუნდელებთან ერთად ევარჯიშათ და, ცხადია, მათთან საერთო ენის გამოსანახად დრო სჭირდებოდათ.

„ყველაზე ნაკლებად სწორედ ნახევარდაცვის თამაში მაღელვებს. ჟელიაზკოვი და მარკოვი გამოცდილი სპორტსმენები არიან და მექსიკაში, დარწმუნებული ვარ, ძლიერად ითამაშებენ. მათ გვერდით გამოვლენ ნასკო სირაკოვი და რადოსლავ ზრდავკოვი, რომელსაც ნაკრების შემადგენლობაში 65 მატჩი აქვს ჩატარებული. ვფიქრობ, დაცვაშიც ყველაფერი რიგზე გვექნება. ეს რგოლიც გამოცდილი ოსტატებით არის დაკომპლექტებული. საკმარისია დავასახელოთ გიორგი დიმიტროვი (65 მატჩი), ნიკოლაი არაბოვი (37), პეტარ პეტროვი (35). სერიოზულად მაფიქრებს მხოლოდ თავდასხმის ხაზი. ჩვენმა ფორვარდებმა ძალიან სუსტად ჩაატარეს ბელგიელებთან შეხვედრა და 31 მაისამდე დარჩენილ დროში მთავარი ყურადღება მათ უნდა დავუთმო. იმედი მაქვს, რომ მექსიკაში თავს არ შევირცხვენთ", — ამბობს მწვრთნელი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა

სახელმწიფო მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთში.

ტერიტორია — 110,9 ათასი კვ. კმ.

მოსახლეობა — 8,97 მილიონი ადამიანი (1984).

დედაქალაქი — სოფია.

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაცია (ბულგარსკა ფედერაცია პო ფუტბოლ) დაარსდა 1923 წელს. ფიფა-ს წევრი გახდა 1924 წელს. უეფა-ს წევრი გახდა 1954 წელს.

უდიდესი სტადიონები: სოფიის „ვასილ ლევსკი" (55 000), სოფიის „ნაროდნა არმია" (48 000), პლოვდივის „9 სეპტემვრი" (40 000), ვარნის „იური გაგარინი" (40 000).

ნაკრების პირველი მატჩი: 21.05.1924. ვენა. ავსტრია — 0:6. სულ დღეისთვის 419 თამაში, 211 მოგება, 72 ფრე, 188 წაგება, ბურთების სხვაობა 981 — 800.

ბულგარეთის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

№	თარიღი	ეტაპი	ქალაქი	მეტოქე	ანგარიში	ბულგარელთა გოლები
1	30.05.1962	ჯგ	რანკაგუა	არგენტინა	0:1	
2	3.06. "	"	რანკაგუა	უნგრეთი	1:6	სოკოლოვი
3	7.06. "	"	რანკაგუა	ინგლისი	0:0	
4	12.07.1966	ჯგ	ლივერპული	ბრაზილია	0:2	
5	16.07. "	"	მანჩესტერი	პორტუგალია	0:3	
6	20.07. "	"	მანჩესტერი	უნგრეთი	1:3	ასპარუხოვი
7	2.06.1967	ჯგ	ლეონი	პერუ	2:3	დერმენჯიევი, ბონევი
8	7.06. "	"	ლეონი	გფრ	2:5	ნიკოდიმოვი, კოლევი
9	11.06. "	"	ლეონი	მაროკო	1:1	ჟეჩევი
10	15.06.1974	ჯგ	დიუსელდორფი	შვეცია	0:0	
11	19.06. "	"	ჰანოვერი	ურუგვაი	1:1	ბონევი
12	23.06. "	"	დორტმუნდი	ჰოლანდია	1:4	კროლი (ჰოლ.—საკ. კარში)

ბულგარეთის ნაკრების შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში

№	წელი	ქვეყანა	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
1	1962	ჩილე	3	0	1	2	1-7
2	1966	ინგლისი	3	0	0	3	1-8
3	1970	მექსიკა	3	0	1	2	5-9
4	1974	გფრ	3	0	2	1	2-5
		სულ	12	0	4	8	9-29

ბულგარეთის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში

1934-1985	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
შინ	26	18	3	5	58-23
სტუმრად	27	8	6	13	29-53
ნეიტრ. მინდორზე	2	2	0	0	3-1
სულ	55	28	9	18	90-77

მაროკო — მაროკოელთა მეორე ცდა

მაროკოს ნაკრები ტრადიციულად ერთ-ერთი უძლიერესია აფრიკაში. ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი 1960 წლიდან მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ თამაშებში. 1970 წელს იგი ფინალში გავიდა, სადაც მოწონებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეკარე კასუ. პირველ მატჩში გფრ-ის ნაკრებთან მაროკოელები ძალიან კარგად თამაშობდნენ, მოიგეს პირველი ტაიმი (1:0) და საბოლოოდ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ (1:2). მეორე მატჩი პერუელებთან მაროკოელებმა დიდი ანგარიშით წააგეს (0:3), მაგრამ მესამე ფრედ (1:1) დაამთავრეს ბულგარელებთან. 1974-82 წლების მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში მაროკოელები ვერაფერს გახდნენ, მაგრამ სხვა შეჯიბრებებში საკმაოდ წარმატებით გამოდიოდნენ. მაგალითად, 1976 და 1980 წლებში მაროკოს ნაკრებმა აფრიკის ჩემპიონობა მოიპოვა.

ამ ორი წლის წინ მაროკოს ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ბრაზილიელი სპეციალისტი ჟოზე ფარია (დაიბადა 1931 წელს). ადრე იგი რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში" თამაშობდა, შემდეგ ამავე ქალაქის „ფლუმინენსეს" და სხვა ბრაზილიურ კლუბებს წვრთნიდა. ფარიამ მაროკოს ნაკრებთან მართლაც ნაყოფიერად იმუშავა. გუნდმა კარგად წარმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: სიერა ლეონეს ნაკრებს ორჯერ მოუგო ანგარიშით 1:0 და 4:0, შემდეგ გზიდან ჩამოიცილა მალავისა (2:0, 0:0) და ეგვიპტის გუნდები (0:0, 2:0), ბოლოს კი უპირატესობას მიაღწია ლიბიელებთან (2:0, 0:1). ბენგაზში ლიბიელებთან შეხვედრაში, საკუთარ კარში გაშვებული ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ შესარჩევ ტურნირში.

როგორ თამაშობენ მაროკოელები? თამაშის მანერით ისინი სამხრეთამერიკელებს ჰგვანან. ეს აიხსნება სამხრეთამერიკელ და აფრიკელ ფეხბურთელებს შორის მჭიდრო კონტაქტით. მაროკოელები კარგად ფლობენ ბურთს, თამაშობენ კომბინაციურად, რბილად. გუნდის ტრადიციულ ნაკლად ითვლება სუსტი ფიზიკური მომზადება და ნაკლები სისწრაფე. მაროკოელთა ტაქტიკური სქემაა 4-4-2.

მწვრთნელ ფარიას კარგი ოსტატები ჰყავს, რომელთა ნაწილი საზღვარგარეთ თამაშობს. ამას წინათ ცნობილ პოლონელ სპეციალისტს რიშარდ კულეშას (თავისი ქვეყნის ნაკრების ყოფილ ხელმძღვანელს) სთხოვეს დაეხასიათებინა მაროკოს ეროვნული გუნდის წამყვანი ფეხბურთელები. კულეშა მაროკოელებს კარგად იცნობს, ამ ქვეყანაში მწვრთნელად მუშაობდა. გარდა ამისა, მაროკოში ხშირად ჩადიოდა მაშინაც, როცა ტუნისის ნაკრებს ედგა სათავეში.

კულეშა ძალიან აქებს მეკარე ზაკის (ეზაკი რადუ), რომელიც ახლა ნაკრებში უცვლელად თამაშობს. „ფრანს ფუტბოლის" კლასიფიკაციით იგი ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესია აფრიკაში. 28 წლის ზაკი ტანმაღალია (190 სმ), აქვს ჩინებული რეაქცია, თამაშობს კასაბლანკის ვაკ-ში („ვიდად ატლეტიკ კლაბ"), რომელიც მეტად პოპულარულია მაროკოში.

მცველი ბლაზ მუსტაფა („კას მარაკენი") 25 წლისაა. ძირითადად სტოპერის ფუნქციებს ასრულებს, ზოგჯერ დაცვის მარცხენა ფრთაზეც გამოდის. გამოირჩევა კარგი სასტარტო სისწრაფით. დოლმის (კასაბლანკის „რაია"), რომელიც ნაკრების ვეტერანია (32 წლისაა), თანაბარი წარმატებით შეუძლია გამოვიდეს დაცვაში და ნახევარდაცვაში. თამაშობს მტკიცედ და შეუპოვრად. 25 წლის თავდამსხმელი აზიზი უკვე მესამე სეზონია შვეიცარიის პირველი ლიგის კლუბ „სიონში" გამოდის. საინტერესოა, რომ 19 წლისა იგი მილანის „ინტერნაციონალეში" ჩარიცხა, თუმცა ამ კლუბს ვერ შერჩა. შვეიცარიელი ექსპერტების აზრით, თამაშობს ძლიერად და თანაბრად. 1984-1985 წლების სეზონში „სიონის" შემადგენლობაში 12 ბურთი გაიტანა. 24 წლის მუსტაფა (კასაბლანკის „რაია") ხან ცენტრალურ ნახევარმცველად თამაშობს, ხან თავდასხმის ხაზში გამოდის. ბოლო ცნობების თანახმად, იგი შვეიცარიის „ლოზანაში" აპირებს გადასვლას.

მაროკოს ნაკრებს ორი ვარსკვლავი ჰყავს—ფეხბურთელები, რომლებიც, ზოგი ექსპერტის აზრით, გაცილებით უფრო ძლიერ გუნდებსაც დაამშვენებდნენ. ზანგი ნახევარმცველი მუჰამედ ტიმუმი, მეტსახელად „აფრიკელი პლატინი" 26 წლისაა, გამოდის რაბატის ფარში. მან მაროკოში არნახული პოპულარობა მოიპოვა. შესანიშნავი დრიბლორია. კულეშას აზრით, იგი ნამდვილი ვირტუოზია. ტიმუმი ცაციაა, ზოგ მატჩში მარცხენა გარემარბად თამაშობს. დიდი სისწრაფე, ძლიერი დარტყმა, დახვეწილი ტექნიკა — ყოველივე ეს ტიმუმის ფეხბურთის საუკეთესო ოსტატთა რიგებში აყენებს. შემთხვევითი როდი იყო, რომ „ფრანს ფუტბოლმა" იგი 1985 წლის სეზონის შედეგების მიხედვით აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია.

საფრანგეთის პირველ დივიზიონში სახელი მოიხვეჭა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კრიმაუმ, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია აბელქერიმ მერი. იგი 30 წლისაა, თამაში დაიწყო კასაბლანკაში, შემდეგ საფრანგეთში გადავიდა. თამაშობდა „ბასტიაში", ლილის „ოლიმპიკში", „ტულუზაში", „მეცში", „სტრასბურგში", „ტურში". ახლა კი „ავრში" გამოდის. საფრანგეთის ჩემპიონატებში 200-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა.

რისი იმედი აქვს ფარიას მექსიკაში? იგი თვლის, რომ მისი გუნდი მეტად ძლიერ ჯგუფში მოხვდა: „პოლონელები სისტემატურად წარმატებებს აღწევენ მსოფლიოს ჩემპიონატებში, ინგლისელებს, ვფიქრობ, დამატებითი რეკომენდაცია არ სჭირდებათ, პორტუგალიელებმა კი თავიანთი ძალა ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატში გვიჩვენეს". მიუხედავად ყოველივე ამისა, ფარია მაინც ფიქრობს, რომ მის გუნდს ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ღირსეულად ბრძოლის უნარი შესწევს.

ბიძი გამრეკელი.

მაროკოს სამეფო

სახელმწიფო მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-დასავლეთით.

ტერიტორია — 446,5 ათასი კვ. კმ.

მოსახლეობა — 25 მილიონი ადამიანი (1984).

დედაქალაქი — რაბატი.

მაროკოს ფეხბურთის ფედერაცია (ფედერაციონ როიალ მაროკონ დე ფუტბოლ) დაარსდა 1955 წელს.

ფიფა-ს წევრი გახდა 1960 წელს.

კაფ-ის წევრი გახდა 1951 წელს.

უდიდესი სტადიონები: კასაბლანკის „დონო" (70 000), აგადირის „ალ ინბიატი" (30 000).

ნაკრებმა პირველი მატჩი ჩაატარა 1958 წელს ლიბიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ და გაიმარჯვა — 2:1. 1976 და 1980 წლებში მაროკოელები აფრიკის ჩემპიონები იყვნენ.

მაროკოს ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

№	თარიღი	ეტაპი	ქალაქი	მეტოქე	ანგარიში	გოლები
1.	3.6.1970	ჯგ	ლეონი	გფრ	1:2	ჟარირი
2.	6.6. "	"	ლეონი	პერუ	0:3	
3.	11.6. "	"	ლეონი	ბულგარეთი	1:1	მუჰობი

მაროკოს ნაკრების შედეგები მსოფლიო პირველობათა შესარჩევ ტურნირებში

1960-1985	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
შინ	21	14	4	3	32-7
სტუმრად	21	3	9	9	12-25
ნეიტრ. მინდ.	3	1	2	0	5-3
სულ	45	18	15	12	49-35

მაროკოს ნაკრების შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში

წელი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ად.
1970	3	0	1	2	2-6	—
სულ	3	0	1	2	2-6	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

ნინო გურიელი არ ხუმრობს

ვანი, 23 მაისი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). ვ. ქარსელაძის VII მემორიალის VI ტურში ნინო გურიელმა დიდოსტატი ედუარდ გუფელდი დაამარცხა. ეს იყო გუფელდის პირველი წაგება ამ ტურნირში.

ამ დღეს ანიკაევმა სძლია ეფიმოვს, ასეევმა — ჭიპაშვილს, ჰუსეინოვმა — ბალათუროვს. ქულა გაიყვეს აზმაიფარაშვილმა და თორიამ, იაელიანმა და სტურუამ, გურგენიძემ და გიორგაძემ. ჯანჯღავა — აგაპოვის პარტია გადაიდო.

VII ტურში გუფელდმა მოუგო ეფიმოვს, სტურუამ — გურგენიძეს. ყაიმით დამთავრდა გურიელის და აგაპოვის, ასეევის და ბალათუროვის, ანიკაევის და ჭიპაშვილის, თორიას და იაელიანის, გიორგაძისა და ჯანჯღავას შეხვედრები. აზმაიფარაშვილი — ჰუსეინოვის პარტია გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ზურაბ აზმაიფარაშვილი — 5 (1); გია გიორგაძე — 5, ნინო გურიელი, ზურაბ სტურუა — 4,5-4,5, ლაშა ჯანჯღავა — 4 (1), ედუარდ გუფელდი, იური ანიკაევი (მოსკოვის ოლქი), კონსტანტინ ასეევი (ლენინგრადი) — 4-4.

მსაჯთა კოლეგიამ გამოაცხადა

სამტრედია, 23 მაისი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). ერთდღიანი დასვენების შემდეგ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატის მონაწილეებმა IX ტურის შეხვედრები გამართეს.

კვლავ წარმატებით ითამაშეს ლიდერებმა: ქეთევან მელაშვილმა მოუგო ნიკოლაძეს, ნინო მელაშვილმა — მესხს. მძაფრ ბრძოლაში ტერელაძემ დაამარცხა კახაბრიშვილი, ქასოშვილმა — ჩხაიძე, წერეთელმა — ალიხანაშვილი. ზედიზედ მეორე პარტია მოიგო საქართველოს ჩემპიონმა ლაგვილავამ, ამჯერად თანდაშვილთან. ხუგაშვილმა წააგო კურცხალიასთან, ფანიაშვილმა — ფეჰლევანოვასთან. დაზავდნენ მახარაძე და კახიანი.

9 ტურის შემდეგ ლიდერობას განაგრძობენ: ქეთევან მელაშვილი (8 ქულა), ნინო მელაშვილი (7), სოფიკო ტერელაძე (6,5), ციალა ქასოშვილი (6), მზია წერეთელი და ჰენრიეტა ლაგვილავა (5,5-5,5).

მსაჯთა კოლეგიამ გამოაცხადა, რომ ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმად 11,5 ქულა დაწესდა.

ჩემპიონი წარუმატებლად თამაშობს

20 წლის ასაკამდე მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის მონაწილეებმა, რომლებიც ვილნიუსში თამაშობენ, დიდი გზის ნახევარი განვლეს. 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ევროპის ჩემპიონი ილდიკო მადლი (უნგრეთი) — 6 ქულა, აინურ სოფიევა, კამილე ბაგინსკაიტე — 5-5, სვეტლანა მატვეევა — 4,5 და სვეტლანა პრუდნიკოვა (ყველა სსრ კავშირი) — 4 (1).

VII ტურში მადლმა სძლია ვერა პეიჩევას (ბულგარეთი), ბაგინსკაიტემ — ქეთევან არახამიას. ყაიმზე შეთანხმდნენ მატვეევა და სოფიევა, რომელმაც წინადღით პრუდნიკოვას მოუგო.

სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონს არახამიას მხოლოდ 3,5 ქულა აქვს. იგი VI ტურშიც დამარცხდა (ამჯერად მადლთან შეხვედრაში).

დამაჯერებელი გამარჯვება

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვისა და ინგლისელი დიდოსტატის ენტონი მაილსის ამხანაგური მატჩი. შეხვედრა ანგარიშით 5,5:0,5 (+5—0=1) მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო.

მეტოქეებმა დასკვნით, VI პარტიაშიც მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს. ეს სადებიუტო სისტემამაც განაპირობა. პარტიაში გათამაშდა ლასკერის გამბიტის მერანოს ვარიანტი. კასპაროვმა სწრაფად გაათანაბრა პოზიცია და ინიციატივას დაეუფლა. თამაშის დაწყებიდან ოთხი საათიც არ იყო გასული, რომ ინგლისელმა მოჭადრაკემ პარტია დათმო.

მატჩი მაილსთან გარი კასპაროვის იმ მოსამზადებელ გეგმაში შედიოდა, რომელსაც იგი ახორციელებს მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვთან მატჩ-რევანშის თამაშის წინ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ლიდერი მაგალითს იძლევა

(დასასრული)

ცხადია, ჩემპიონატის შედეგებს ინტერესით ელიან ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრები. საქართველოს ნაკრები 23 მოჭიდავით წარსდგება ორჯონიკიძის სარბიელზე. ჩვენი გუნდის მწვრთნელები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ ლიდერებზე ლერი ხაბელოვსა და დავით გობეჯიშვილზე, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძვიან.

ტურნირის პირველ დღეს სარბიელზე გამოვიდნენ 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეები, რომლებმაც სამ-სამი შეხვედრა გამართეს, გუშინ დილით კი მე-4 წრეც ჩაატარეს, უმხატეს წონაში ჩვენს რესპუბლიკას წარმომადგენელი არ ჰყავს. ქვემსუბუქ წონაში გამოდიან თბილისელი ზურაბ ტატუაშვილი, სოხუმელები ეგია მუსოიანი და ემზარ გვიჩიანი. მუსოიანმა სამი შეხვედრა ქულებით მოიგო, მაგრამ მე-4 წრეში ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან, ევროპის პირველობის პრიზიორთან რუსლან კარაევთან დამარცხდა. ოთხი წრის შემდეგ სამი გამარჯვება აქვს ტატუაშვილსაც. გვიჩიანი კი მე-4 წრეში გამოეთიშა შეჯიბრებას.

68 კგ წონით კატეგორიაში 2 ქართველი მოჭიდავე გამოდის: გოჩა გაბოძემ 3 შეხვედრა მოიგო, გივი ქენქაძემ — 2. მხოლოდ ორი წრე ჩაატარა ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ). მას სტარტზევე მეტად ძლიერი მეტოქეები შეხვდა (მახაჩკალელი ვაგიფ კაზიბეკოვი და კრასნოიარსკელი ვლადიმერ მოდოსიანი) და ორივესთან დამარცხდა.

ძლიერი ფალავნები შეიკრიბნენ ქვემძიმე წონაში. აქ ერთბაშად სამი მსოფლიო ჩემპიონი გამოდის: თბილისელი ლერი ხაბელოვი, ტაშკენტელი ასლან ხადარცევი და ლენინგრადელი პეტრე ნანიევი. ბრწყინვალედ იჭიდავა ხაბელოვმა, რომელსაც სამი მეტოქის დასამარცხებლად სულ ხუთიოდე წუთი დასჭირდა. ხაბელოვის ქვეჯგუფში გამოდის საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ოდესელი თიბილოვი (შარშან თიბილოვი 90 კგ წონაში ასპარეზობდა). მე-4 წრეში სწორედ ხაბელოვი და თიბილოვი დაწყვილდნენ. ხაბელოვმა ანგარიშით 3:1 მოიგო ეს შეხვედრა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ოქროს მედლისაკენ. ხადარცევსაც ოთხი გამარჯვება აქვს. ნანიევი კი ორი წაგების შემდეგ გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას. მაყურებლებში გადაინაცვლეს ზაზა ტყეშელაშვილმა და თამაზ ინდოაშვილმაც (100 კგ).

ელვა-ინფორმაცია

გუშინ საღამოს 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონით კატეგორიებში გაიმართა დასკვნითი წინასწარი შეხვედრები. ქვეჯგუფში პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ გოჩა გაბოძე (68) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ტაშკენტელი არსენ ფაძაევი. გაიმარჯვა ფაძაევმა. გაბოძე მესამე ადგილისთვის იჭიდავებს. ლერი ხაბელოვმა დაამარცხა კიეველი ზალიმხან კცოევი და ფინალში გავიდა.

გუშინვე ბრძოლაში ჩაებნენ დანარჩენი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები. პირველი შეხვედრები მოიგეს ლევან ხირაძემ (74), მამუკა რაზმაძემ, მამუკა ხურციძემ, კობა ლომიძემ (სამივე — 90 კგ), დავით გობეჯიშვილმა და ლევან ებანოიძემ (ორივე — 130 კგ).

სტარტი ენგურის ჭალაში

(დასასრული)

ცხენბურთი, მარულა) წარმომადგენლები გამოვლენ.

სპარტაკიადის პროგრამაშია (კლასიკური სახეობანი): პირად-გუნდური პირველობა სამჭიდში უფროსი ასაკის ცხენებისათვის დაბრკოლებათა გადალახვაში („საქართველოს თასი"), გაწვრთნილობაში („დიდი პრიზი"). გარდა ამისა, პირადი ჩათვლის პროგრამაში შეტანილია სამჭიდი უმცროსი ასაკის ცხენებისათვის და დაბრკოლებათა გადალახვა „გახსნის პრიზზე".

უკვე პირველ დღეს მონაწილეებისათვის, ცხენოსნობის მოყვარულთათვის აშკარა გახდა, რომ ზუგდიდის „კოლმეურნის" იპოდრომის სახით რესპუბლიკამ მიიღო შესანიშნავი საცხენოსნო კომპლექსი, რომელსაც შეეძლება ყველაზე მაღალი რანგის ასპარეზობებს გაუწიონ ღირსეული მასპინძლობა.

ასპარეზობის მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დ. წვერავა: — „ცხადია, როდესაც აქ ძირითადი სამუშაო დამთავრდება (იპოდრომის საზეიმო გახსნა აგვისტოს პირველ დეკადაშია ნავარაუდევი), რესპუბლიკის სპორტსმენებს ექნებათ, ფაქტიურად უკვე აქვთ, საშუალება, რომ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი მომზადება, ოსტატობა. ასეთი შესანიშნავი საცხენოსნო კერა ყოველი შეჯიბრების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, კარგი შედეგების მისაღწევად განაწყობს მონაწილეებსა და ორგანიზატორებს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ თვით ქალაქ ზუგდიდის, რაიონის, მთელი ამ მხარის უდიდეს და უძველეს საცხენოსნო ტრადიციებს, მაშინ ისიც ნათელი იქნება, თუ რა იმედის მომცემია ასეთი იპოდრომი ენგურის ჭალაში. ნუ დაგვავიწყდება, რომ „მობურთალსა — მოედანი!" დიდმა შოთა რუსთაველმა უშუალოდ ცხენოსნებზე თქვა".

სპარტაკიადის პირველ დღეს გაიმართა უფროსი და უმცროსი ასაკის ცხენების სამჭიდის სამანეჟო სვლა. ასპარეზობის საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში გახსნის პრიზზე. უშეცდომოდ იასპარეზეს სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა იგორ მამფორიამ (აფხაზეთი, ცხენი — ორბიტა), კახა კაკიანმა (თბილისი, ცხენი — ზამბარა), ივანე ყურუამ (თბილისის სპორტსკოლა, ცხენი — პეწიანი).

ინტერესი გამოიწვია „გოგოების დოლმა" (2400 მ), რომელშიც სოფელ რუხის მოსწავლეები გამოდიოდნენ.

(„ლელოს" სპეც. კორ.).

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის შეხვედრები II ლიგის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ზონა. „ბახტრიონი" (ახმეტა) — „განთიადი" (კასპი) 7:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „არაგვი" (დუშეთი) 0:0, „ალგეთი" (მარნეული) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:1, „მშენებელი" (რუსთავი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 5:2, „მუხნარი" (მუხრანი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 3:1, „თრიალეთი" (წალკა) — „სიონი" (დმანისი) 2:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „აკრიანი" (მარტყოფი) 7:1, „სამგორი" (გარდაბანი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:1.

ცენტრალური ზონა. „ვარძია" (ასპინძა) — „იმერეთი" (წულუკიძე) 3:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:0, „ზარზმა" (ადიგენი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „დილა" (წულუკიძე) 3:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 1:0, „თორი" (ბორჯომი) — „ხვამლი" (ცაგერი) 3:0, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „რაჭა" (ამბროლაური) 3:1.

დასავლეთი ზონა. „ნარინჯი" (ქობულეთი) — „მზიური" (გალი) 2:3, „ჩიბათი" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:2, „ნარინჯი" (გონიო) — „ალიონი" (გალი) 2:1, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „დინამო"-2 (ბათუმი) 2:0, „ზანა" (აბაშა) — „დვაბზუ" (მახარაძე) 2:2, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) 1:0, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „ნაპერწკალი" (ოჩამჩირე) 2:2.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 24 მაისისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„ალგეთი"	7	5	1	1	11-7	11
„სამგორი"	7	5	0	2	14-7	10
„ბახტრიონი"	5	4	0	1	17-5	8
„მშენებელი"	5	3	1	1	10-6	7
„თრიალეთი"	4	3	0	1	11-7	6
„განთიადი"	5	3	0	2	10-11	6
„მუხნარი"	5	3	0	2	6-8	6
„კოლმეურნე"	7	2	2	3	11-10	6
„არაგვი"	4	2	1	1	7-4	5
„გარეჯი"	5	2	1	2	10-8	5
„ალაზანი"	5	2	1	2	5-3	5
„ჰერეთი"	4	2	0	2	6-4	4
„გარისი"	5	0	3	2	1-3	3
„შირაქი"	5	1	0	4	6-16	2
„სიონი"	4	0	0	4	3-8	0
„აკრიანი"	7	0	0	7	6-27	0

ცენტრალური ზონა

„მაღაროელი"	7	5	1	1	15-7	11
„იმერეთი"	8	5	0	3	11-8	10
„ვარძია"	7	4	1	2	15-6	9
„თორი"	6	4	1	1	12-3	9
„მშენებელი"	8	3	3	2	9-7	9
„ჩიხურა"	6	3	1	2	16-11	7
„საირმე"	6	3	1	2	4-5	7
„რაჭა"	7	3	1	3	12-14	7
„დილა"	9	3	1	5	12-18	7
„მესხეთი"	6	3	0	3	12-8	6
„კოლმეურნე"	5	3	0	2	8-8	6
„ზარზმა"	7	2	1	4	8-11	5
„ლიახვი"	7	2	1	4	5-10	5
პოლ. ინს. ქ.	6	2	1	3	8-15	5
„ხვამლი"	7	1	3	3	8-13	5
„იბერია"	5	1	0	4	4-9	2
„აბული"	3	0	0	3	1-7	0

დასავლეთი ზონა

„მზიური"	7	6	0	1	30-5	12
„კოლხეთი"	4	4	0	0	9-0	8
„ნარინჯი" გ.	5	4	0	1	7-4	8
„ალიონი"	8	3	1	4	13-22	7
„ნარინჯი" ქ.	5	3	0	2	11-7	6
„დვაბზუ"	5	2	1	2	11-5	5
„ოდიში"	5	2	1	2	7-4	5
„კოლხეთმშ."	5	2	1	2	6-12	5
„ზანა"	5	1	3	1	10-9	5
„მეშახტე"	4	1	3	0	6-5	5
„ნაპერწკალი"	9	1	3	5	10-26	5
„სუბტროპიკი"	4	0	4	0	6-6	4
„ჩიბათი"	5	1	1	3	4-5	3
„დინამო"-2	5	0	1	4	2-9	1
„კოლმეურნე"	4	0	1	3	1-14	1

ინფორმაცია

პრაღა. მშვიდობის ველორბოლის ბოლოსწინა, მე-14 ეტაპი საბჭოთა გუნდის წევრმა, ვლაიპედელმა ივან რომანოვმა მოიგო. 181 კილომეტრი მან 4:22.12-ში დაფარა. სამაგიეროდ რბოლის ერთპიროვნული ლიდერი ოლაფ ლუდვიგი (გდრ) უძლიერესი იყო ბოლო ეტაპზე — მლადა ბოლესლავიდან პრაღაში ფინიშის ხაზთან ყველაზე ადრე სწორედ ის მიიჭრა. 26 წლის ოლაფ ლუდვიგი მშვიდობის ველორბოლის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილი საერთო ჯამში ვლადიმერ პულნიკოვმა, მესამე კი ასიატ საიტოვმა (ორივე — საბჭოთა კავშირი) მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე სსრ კავშირის ნაკრები გავიდა (ვლადიმერ პულნიკოვი, ასიატ საიტოვი, სერგეი უსლამინი, ვიქტორ კლიმოვი, ივან რომანოვი, ვასილი ჟდანოვი). გუნდური მეორე ადგილი გდრ-ის ველოსიპედისტებს ხვდათ. მესამე ადგილზე ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები გავიდნენ.

რეჰლინგენი (გფრ). მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში უნგრეთის ახალი რეკორდი შუბის ტყორცნაში ქალთა შორის ჟუჟა მალოვეცმა დაამყარა — 66 მ და 64 სმ. უროს მტყორცნელ ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი კლაუს პლოგჰაუსმა (გფრ) აჩვენა — 79 მ და 88 სმ.

ყველა წონაში...

კალინინი. სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეები (საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, კამპუჩიის, მონღოლეთის, საფრანგეთისა და შვეიცარიის ათლეტები) ლენინგრადიდან კალინინში გადავიდნენ და იქ საერთაშორისო ტურნირში გამოვიდნენ. ჩვენი მოჭიდავეების უპირატესობა ამჯერადაც უდავო იყო — მათ ყველა წონაში გაიმარჯვეს.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 24 მაისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.25 (2); მეგობრული არმიების სპარტაკიადა — 11.10 (2); სტადიონი ყველასთვის — 14.15 (2); წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი — 16.15 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 20.00 (2); საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში — 21.15 (2).

საქართველოს ტელევიზია. 24 მაისი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ: „ესპანეთი-82". ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდების ვიდეოჩანაწერი—12.55.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. 24 მაისი. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი). დასაწყისი 17 ს. 25 მაისი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. ახკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). 16 ს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებისა და მოსახლეობის აქტიური დასვენების მიზნით თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო გთავაზობთ საინტერესო სიახლეს:

ყოველ კვირა დღეს სტუდენტი ახალგაზრდობისათვის და დედაქალაქის მშრომელებისათვის მოეწყობა თემატური ექსკურსიები („თბილისი — საქართველოს დედაქალაქი" და „ძველი თბილისის ქუჩები").

ექსკურსიის მონაწილენი გაეცნობიან დედაქალაქის წარსულს და მის დღევანდელობას, დაათვალიერებენ ძველი თბილისის განახლებულ უბნებს, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ეწვევიან ეთნოგრაფიულ მუზეუმს „ქარვასლას".

საექსკურსიო ავტობუსები მსურველებს დაელოდებიან დილის 10 საათიდან 12 საათამდე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელთან, ბაგებში. ბილეთები გაიყიდება ადგილზე (ფასი 2 მან. 50 კაპ.).

მათთვის, ვისაც არა აქვს საშუალება საკუთარი ავტომანქანით გავიდეს ბუნების წიაღში, შაბათ და კვირა დღეებში მოეწყობა ერთდღიანი ექსკურსია მცხეთა-საგურამოს მიმართულებით. საშუალება გექნებათ დაათვალიეროთ საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, მისი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლები და ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, დაისვენოთ ბუნების წიაღში.

მცხეთისა და საგურამოს დათვალიერების მსურველთ საექსკურსიო ავტობუსები დაელოდებიან დილის 9 საათამდე ცენტრალური ვაგზლისა და რუსთაველის მოედნებზე, აგრეთვე ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე „ჩაის სახლის" წინ მდებარე სკვერთან. ბილეთები გაიყიდება ადგილზე (ფასი 3 მან. 40 კაპ.).

დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში. მისამართი: მეტეხის აღმართი № 4, ტელ. 74-27-50.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 05678